დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ
2010 წლის 18 მარტი ოქმი №2

ქუთაისის უნივერსიტეტი

ქუთაისის უნივერსიტეტის

შიდასაუნივერსიტეტო საგრანტო პროექტების საკონკურსო

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ქუთაისი 2010

1. მიზნები

1.1 ეს დებულება აწესრიგებს (განსაზღვრავს) ქუთაისის უნივერსიტეტში (შემდგომში „ქუ“) შიდასაუნივერსიტეტო საგრანტო პროექტების (შემდგომში „პროექტი“) წარდგენის, განხილვის, დამტკიცების და მონიტორინგის საერთო წესს.

1.2 ღონისძიების მიზანია, ღიად გამოცხადებული კონკურსის გზით, ექსპერტთა შეფასების საფუძველზე, გამოავლინოს და დააფინანსოს პროექტები, რომელიც ხელს შეუწყობენ ქუ-ის სამეცნიერო პოტენციალის წარმოჩენას, პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას, სამეცნიერო კონტაქტების დამყარებას ქართველ და უცხოელ მკვლევარებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან, წამყვან სამეცნიერო ცენტრებთან.

1.3 ღიად გამოცხადებული კონკურსის პირობები და პროცედურები მაქსიმალურად გამჭვირვალე და ობიექტურია, რაც უზრუნველყოფს მეცნიერებისა და მკვლევარებისათვის დაფინანსების ხელმისაწვდომობას.

2. ზოგადი პირობები

2.1. პროექტში მონაწილეობა შეუძლია:

- ქუ-ის სრულ, ასოცირებულ ან ასისტენტ პროფესორს;
- ქუ-ის დოქტორანტს;
- მკვლევართა ჯგუფს, რომელსაც ხელმძღვანელობს ქუ-ს სრული, ასოცირებული ან ასისტენტ-პროფესორი ან დოქტორანტი. ამ ჯგუფში შესაძლებელია მონაწილეობდნენ ქუ-ს მაგისტრანტები და ბაკალავრიატის სტუდენტები, აგრეთვე, სათანადო დასაბუთების შემთხვევაში - მოწვეული სპეციალისტები (მათი საერთო რაოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ჯგუფის წევრთა საერთო რაოდენობის მეოთხედს).
- მკვლევართა ჯგუფს, რომელშიც შედის საქართველოსა და უცხოეთის სხვა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების წარმომადგენლები, თუ ამ დაწესებულებასთან ქუ-ს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება (მემორანდუმი) თანამშრომლობისა და ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელების შესახებ (ასეთ ჯგუფში უცხოელ მკვლევართა საერთო რაოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ჯგუფის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარს).

2.2 სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევების ზოგადი მიმართულებები:
გარკვეული პერიოდულობის დაცვით, ხდება სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევების ზოგადი მიმართულებების ფორმირება და მის ფარგლებში საუნივერსიტეტო პრიორიტეტების გამოკვეთა.

2.3. დაფინანსების წყაროები და ადმინისტრირება:

- პროექტები ფინანსდება ქუ-ის ბიუჯეტიდან და მოზიდული თანხებიდან (გრანტები, შემოწირულობები და სხვა კანონიერი გზით მიღებული შემოსავლები).
- პროექტების სრულ ადმინისტრირებას ახორციელებს ქუ-ის სამეცნიერო პროექტების შეფასებისა და მონიტორინგის კომისია (შემდგომში - „კომისია“).

3. კომისია

3.1. კომისია და მისი თავმჯდომარე ინიშნება აკადემიური საბჭოს მიერ, 3 წევრის შემადგენლობით;

3.2. კომისიის უფლებამოსილების ვადა 2 წელია;

3.3. კომისია უზრუნველყოფს:

- კონკურსის გამოცხადებას აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულების მიხედვით;

- კონკურსანტებისათვის კონსულტაციების ჩატარებას;
- წარმოდგენილი პროექტების ექსპერტიზას;
- საექსპერტო შეფასების საფუძველზე დასაფინანსებელი პროექტების გამოვლენასა და აკადემიურ საბჭოზე წარდგენას;

3.4. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე დამტკიცებული პროექტების ავტორებთან ხელშეკრულებას აფორმებს ქუ-ს ადმინისტრაცია.

3.5. კომისიის ერთი წევრია ქუ რექტორი, ხოლო დანარჩენი 2 წევრი - დამოუკიდებელი ექსპერტები, მკვლევარები და დარგის აღიარებული სპეციალისტები;

3.6. კომისია გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით და გადაწყვეტილებებს აფორმებს ოქმით.

3.7. კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია:
- საკუთარი განცხადება;
- ტენდენციურობა ან თავის არიდება კომისიის მუშაობაში მონაწილეობაზე;

3.8. კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ აკადემიური საბჭო, კომისიის უფლებამოსილების ვადით ნიშნავს კომისიის ახალ წევრს.

4. დაფინანსება და საგრანტო ხელშეკრულების პირობები

4.1. ქუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ გრანტის დამტკიცების შემდგომ ქუ გრანტის მიმღებთან აფორმებს ხელშეკრულებას, რომელშიც გაიწერება ურთიერთვალდებულებების დეტალური პირობები;

4.2. საგრანტო ხელშეკრულებას ხელს აწერს ორივე მხარის წარმომადგენელი: ერთი მხრივ, ქუ-ის რექტორი, ხოლო, მეორე მხრივ, პროექტის (სამეცნიერო) ხელმძღვანელი.

4.3. პროექტის განხორციელება უნდა დაექვემდებაროს ხელმოწერილი ხელშეკრულების პირობებს.

4.4. ხელშეკრულების თანახმად, გრანტის მიმღები ვალდებულია გრანტთან დაკავშირებული პირველადი საბუთების ფინანსური აღრიცხვა აწარმოოს სხვა დოკუმენტაციისგან განცალკევებით;

4.5. გრანტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის წარმოება სავალდებულოა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.6. გრანტის დაფინანსება განხორციელდება ეტაპობრივად, ტრანშების მიხედვით, პროექტის ღირებულების, ხანგრძლივობისა და ჩატარებული სამუშაოების გათვალისწინებით;

4.7. ხელშეკრულების თანახმად, ყოველი შემდგომი ტრანში გრანტის მიმღებს გადაერიცხება პროექტის (სამეცნიერო) ხელმძღვანელის მიერ კომისიაში წარმოდგენილი შუალედური ანგარიშის საფუძველზე.

4.8. იმ შემთხვევაში, თუ, გრანტით დაფინანსებული პროექტის განხორციელების პერიოდში, გრანტის მიმღებმა მხარემ დაარღვია საგრანტო ხელშეკრულების პირობები, ან, არასაპატიო მიზეზების გამო, ვერ შეასრულა დასახული ამოცანები, კომისიას ქუ-ის აკადემიური საბჭოს წინაშე დააყენოს ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი.

4.9. დასაფინანსებელი პროექტის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს; მოთხოვნილი თანხის მოცულობა განისაზღვრება ყოველწლიურად, ქუ-ის ბიუჯეტის და სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევების პრიორიტეტული მმიმართულებების მიხედვით.

4.10. პროექტის განაცხადი შესაძლოა ითვალისწინებდეს თანადაფინასებას; თანადამფინანსებელი შესაძლოა იყოს როგორც მონაწილე მხარე, ასევე სხვა საერთაშორისო/ადგილობრივი ორგანიზაცია.

5. პროექტის წარმოდგენის ვადები და ეტაპები

5.1. პროექტის განაცხადების შემოტანის ვადებს ადგენს კომისია. ეს ვადა არ შეიძლება იყოს კონკურსის გამოცხადებიდან 1 თვეზე ნაკლები.

5.2. პროექტების შერჩევა ტარდება წელიწადში ერთხელ. შერჩევის ვადა დგინდება კომისიის გადაწყვეტილებით. შერჩევა ჩატარდება სამ ეტაპად:

- პირველი ეტაპი: განაცხადების ტექნიკური ექსპერტიზა, მათი კონკურსის პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. განაცხადები, რომლებიც არ შეესაბამება/აკმაყოფილებს დადგენილ პირობებს, მოიხსნება განხილვიდან.
- მეორე ეტაპი: კომისია განიხილავს საპროექტო განაცხადებს და შეაფასებს მათ მე-7 პარაგრაფში მითითებული კრიტერიუმების მიხედვით. პროექტები, რომლებიც მიიღებენ 75-100 ქულიან შეფასებას, დაიშვებიან მომდევნო ეტაპზე.
- მესამე ეტაპი: პროექტის განსახორციელებლად საჭირო კომპეტენციების შესაფასებლად გასაუბრება კონკურსანტთან (ჯგუფთან). გასაუბრების აუცილებელი კომპონენტია კომისიის წინაშე პროექტის პრეზენტაცია.

5.3. სამივე ეტაპის დასრულების შემდეგ კომისია უფლებამოსილია შეარჩიოს გამარჯვებულ პროექტები და დასამტკიცებლად წარუდგინოს აკადემიურ საბჭოს.

6. საკონკურსო განაცხადის წარდგენის პირობები და დოკუმენტაცია:

6.1. განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი და ელექტრონული ფორმით, ქართულ ენაზე, 2 ეგზემპლარად.

6.2. განაცხადის ელექტრონული ვერსიის წარმოდგენა სავალდებულოა მყარ დისკზე (კომპაქტ-დისკი);

6.3. განაცხადის შემოტანისას სავალდებულოა შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენა:

ა) ცნობები ამ წესის 2.1. ქვეპუნქტის მოთხოვნებთან განმცხადებლ(ებ)ის შესაბამისობის შესახებ;

გ) განცხადება (დანართი I);

დ) განაცხადის შევსებული ფორმა (დანართი II);

ე) პროექტის რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე (1 გვერდი);

ვ) საპროექტო წინადადება (დანართი III), (არაუმეტეს 5 გვერდისა);

ზ) პროექტის ბიუჯეტი (დანართი IV);

თ) პროფესიული ავტობიოგრაფია, თითოეული მონაწილისათვის ცალ-ცალკე (დანართი V);

ი) აპლიკანტ(ებ)ის პირადობის მოწმობ(ებ)ის სრული ასლი;

კ) თანადაფინანსების შემთხვევაში, მისი დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი (დოკუმენტში უნდა მიეთითოს თანადაფინანსების მოცულობა და ბიუჯეტის ის ნაწილი, რომელსაც თანადაფინანსება ფარავს).

7. პროექტების შეფასების კრიტერიუმები:

#	კრიტერიუმები	დიაპაზონი	ქულა	კომენტარი
1	მეცნიერის (მკვლევარის, ჯგუფის) კვალიფიკაცია და შესაბამისობა პროექტით გათვალისწინებულ კვლევასთან	0-20		
2	წარდგენილი სამეცნიერო კვლევის აქტუალურობა	0-15		
3	დაგეგმილი კვლევის მოცულობის შესაბამისობა პროექტის ვადებთან	0-10		

4	კვლევის მოსალოდნელი შედეგების სამეცნიერო-პრაქტიკული ღირებულება	0-15		
5	პროექტის საფუძვლიანად დასაბუთება	0-10		
6	რამდენად დაეხმარება პროექტი არჩეული მიმართულების განვითარებას	0-15		
7	კვლევის საგნის, მისი ჩატარების ადგილის პრესტიჟულობა, რეიტინგი	0-15		

8. ანგარიშგება, მონიტორინგი, შეფასება

8.1. გრანტის მიმღები ვალდებულია კომისიას ყოველკვარტალურად წარუდგინოს პროექტის მიმდინარეობის შესახებ შუალედური ანგარიში, რომელიც შედგება ორი, პროგრამული და ფინანსური, ნაწილისაგან.

8.2 საჭიროებისამებრ, კომისიის მოთხოვნის შესაბამისად, პროექტის ხელმძღვანელმა უნდა წარმოადგინოს საგრანტო პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა სახის დოკუმენტი. კომისია ასევე უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, ადგილზე განახორციელოს პროექტის მონიტორინგი;

8.3. კომისია ამოწმებს კვარტალურ ანგარიშს და ადგენს შესაბამის აქტს. ხარვეზების არარსებობის შემთხვევაში, ამ აქტის საფუძველზე, აღძრავს შუამდგომლობას ქუ-ის აკადემიურ საბჭოსთან შემდგომი ტრანშის გადარიცხვის შესახებ. თუ შემოწმების დროს გამოვლინდა გამოსწორებადი ხასიათის შეცდომები, გრანტის მიმღებს ეძლევა მისი გამოსწორების საშუალება. თუ გრანტის მიმღების მხრიდან ადგილი აქვს აშკარა არაკეთილსინდისიერებასა და სიყალბეს, მაშინ ეს აქტით დაფიქსირდება და ქუ-ის აკადემიური საბჭოს წინაშე დაისმება პროექტის შემდგომი დაფინანსების შეწყვეტის საკითხი.

8.4. პროექტის დასრულების შემდეგ, ორი თვის განმავლობაში, ქუ-ში წარმოდგენილი უნდა იყოს დასკვნითი სამეცნიერო ანგარიში.

8.5. პროექტის დახურვა ხდება გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი დასკვნითი სამეცნიერო ანგარიშის, აგრეთვე, მონიტორინგის შედეგად გაკეთებული დასკვნების საფუძველზე.

8.6. პროექტის დასრულების შემდეგ გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება რჩება გრანტის მიმღებს.

დანართი I

მიმართულების სახელწოდება

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქუთაისის უნივერსიტეტის სამეცნიერო პროექტების
შეფასებისა და მონიტორინგის კომისიას

მოგახსენებთ, რომ გავეცანი ქუთაისის უნივერსიტეტის შიდასაუნივერსიტეტო საგრანტო პროექტების საკონკურსო დებულებას. ვაღიარებ დებულების მოთხოვნათა სავალდებულო დაცვას და შემომაქვს თანდართული განაცხადი.

ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ მოწოდებული ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს. ამასთან, კომისიას ვაძლევ უფლებას, ნებისმიერ დროს გადაამოწმოს მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტე.

ვაცნობიერებ, რომ კომისიის მიერ ნებისმიერი სახის ყალბი მონაცემის ან არაკეთილსინდისიერების აღმოჩენის შემთხვევაში ჩემი განაცხადი საკონკურსოდ არ განიხილება.

განმცხადებლის ხელმოწერა:

თარიღი:

დანართი II

განაცხადის ფორმა

1 სახელი, გვარი;

2 დაბადების წელი თვე, რიცხვი, ადგილი;

3 საცხოვრებელი ადგილის სრული საფოსტო მისამართი (ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით);

4 საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონები: ბინის, სამსახურის, ფაქსი, მობილური;

5 ელექტრონული ფოსტა;

6 აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი;

7 ამჟამინდელი საქმიანობა (ორგანიზაცია, თანამდებობა);

8 პროექტის სახელწოდება;

9 მეცნიერის ინტერესი და მოლოდინი პროგრამიდან გამომდინარე;

10 იმ ორგანიზაციის სრული დასახელება, სადაც დაგეგმილია კვლევები; (ქართულ და ინგლისურ ენებზე) მისამართი, ვებ-გვერდი;

11. თანადამფინანსებელი და მისი რეკვიზიტები;

11 რომელ ენაზე გეგმავთ პრეზენტაციის წარდგენას;

13. პროექტის ვადები.

დანართი III

საპროექტო წინადადება

გთხოვთ, საპროექტო წინადადება წარმოადგინოთ ქვემოთ მოტანილი თანმიმდევრობით (არაუმეტეს 5 გვერდისა, შრიფტი - Sylfaen, შრიფტის ზომა - 11, ინტერვალი- 1).

1. პროექტის სახელწოდება;
2. კვლევის აქტუალობის დასაბუთება;
3. კვლევის მიზნობრიობა, დასახული ამოცან(ებ)ის აღწერილობა;
4. კვლევის აუცილებლობის დასაბუთება;
5. კვლევის მოსალოდნელი შედეგები და მისი პრაქტიკაში გამოყენების დასაბუთება;
6. კვლევის მეთოდოლოგია, მიდგომები;
7. კვლევის სამომავლო განვითარების გეგმა (მიუთითეთ, კვლევის სამომავლო კომერციალიზაციის შესაძლებლობები);
8. პროგრამის მნიშვნელობა აპლიკანტ(ებ)ის პროფესიული განვითარებისათვის.

დანართი IV

ბიუჯეტი

#	ხარჯვის კატეგორია	მოთხოვნილი თანხა (ლარი)	დაფინანსების სხვა წყაროები (თანადაფინანსება)	
		სავარაუდო ჯამური ღირებულება ლარებში	ჯამური ღირებულება ლარებში	თანადამფინასებელი პირი ან ორგანიზაცია
1				
2				
3				
4				
5	სულ			

** შენიშვნა: საერთაშორისო მივლინებებისათვის დანართის სახით წარმოადგინეთ საერთაშორისო მგზავრობისთვის ჩატარებული მარკეტინგული კვლევის დოკუმენტაცია.*

სულ ქუ-დან მოთხოვნილი თანხა ლარებში: ----------

სულ თანადაფინანსება (ლარებში) ----------

დანართი V

პროფესიული ბიოგრაფია

Curriculum Vitae

სახელი, გვარი:

მისამართი:

ტელეფონი:

ელექტრონული ფოსტის მისამრთი:

დაბადების თარიღი, ადგილი:

1. **განათლება**

(საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ სტრიქონები)

	წლები	უმაღლესი სასწავლებლის დასახელება	სპეციალობა	აკადემიური ხარისხი
1				
2				

2. **პროფესიული გამოცდილება**

(საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ სტრიქონები)

	წლები	თანამდებობა	დეპარტამენტის/განყოფილების დასახელება	ორგანიზაციის დასახელება
1				
2				

3. **სამეცნიერო ან კვლევით პროექტებში მონაწილეობა**

(ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში)

	წელი	პროექტის სახელწოდება	როლი პროექტში	გრანტის დამფინანსებელი დონორი
1				
2				

4. **პროფესიული სიგელები და ჯილდოები**

(ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში)

	წელი	სიგელის, ჯილდოს სახე	დამსახურების მითითება	ორგანიზაციის დასახელება
1				
2				

5. **გამოგონებების, პატენტების ჩამონათვალი თქვენი შეხედულებისამებრ**
(ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში)

	წელი	გამოგონების, პატენტის დასახელება, რეკვიზიტი	პატენტის გამცემი უწყება
1			
2			

6. **სულ პუბლიკაციების რაოდენობა**: _____, მათ შორის უკანასკნელ ხუთ წელიწადში: _____, პუბლიკაციების რაოდენობა იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში: _____, ციტირების ინდექსი: _____ (ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში), პუბლიკაციების ჩამონათვალი (არაუმეტეს 5-ისა) თქვენი შეხედულებისამებრ.

	წელი	პუბლიკაციის დასახელება	პუბლიკაციის სახე (სტატია, მონოგრაფია, სახელმძღვანელო და სხვა)
1			
2			

7. **საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა**
(არაუმეტეს 5-ისა)

	წელი	ღონისძიების დასახელება	მოხსენების სათაური	ღონისძიების ჩატარების ადგილი
1				
2				

8. **უცხო ენების ცოდნა**
(აღნიშნეთ შესაბამისი გრაფა)

#	ენის დასახელება	დამწყები	ლექსიკონით	საშუალოდ	კარგად	თავისუფლად
1.						
2.						

9. **ორი რეკომენდატორის საკონტაქტო ინფორმაცია**

#	სახელი, გვარი	სამეცნიერო/აკადემიური ხარისხი, თანამდებობა, სამუშაო ადგილი	საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ., ელ.ფოსტა)
1			
2			